

ოქმი N2

2018 წლის 2 აგვისტოს გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე;

მერის პირველი მოადგილე გიორგი დონაძე;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე;

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ინეზა ზანძელაძე;

ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ირმა ფრუიძე;

იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი თამარ ქვეანაშვილი;

მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი კახაბერ ნეფარიძე;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრები:

თენგიზ ცაგურიშვილი—ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ქ. ამბროლაურში გამსახურდიას ქუჩა N 42-ში;

ალექსი ჯაფარიძე—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოში;

კობა კობახიძე—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდაში;

იზა ტოფაძე—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამანვეის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამანვეში;

ზაურ დავლიანიძე—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვაეის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვაეაში;

მურად მაცაბერიძე—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევში;

გიორგი მურუსიძე—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზნაკვის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზნაკვაში;

გელა გურგენიძე—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოტევის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოტევში;

ვასილ დვალი—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუგეულის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუგეულში;

თამილა გობეჯიშვილი—ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდიკრის მოსახლეობის წარმომადგენელი, მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდიკარში;

მურმან ქველიძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლადიშის მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლადიშში;	მოსახლეობის წარმომადგენელი,
ემზარ ჯვლაძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთში;	მოსახლეობის წარმომადგენელი,
დავით ბერაძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცახის მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცახში;	მოსახლეობის წარმომადგენელი,
გოჭა სუთიძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სადმელის მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სადმელში;	მოსახლეობის წარმომადგენელი,
სოსო ცხვედიანი-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშში;	მოსახლეობის წარმომადგენელი,
გიორგი ტაბუცაძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იწის მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იწაში;	მოსახლეობის წარმომადგენელი,
ნანა კაციტაძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელიაღელის მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელიაღელეში;	მოსახლეობის წარმომადგენელი,
ლალი კობერიძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წესის მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წესში;	მოსახლეობის წარმომადგენელი,
თამილა ქემოკლიძე-მეწარმე იურიდიული პირი შ.პ.ს. „თამილას“ წარმომადგენელი;	

მოისმინეს: ინფორმაცია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების შესახებ.

/მომხსენებელი ზ. მხეიძე/

მომხსენებელი ზვიად მხეიძე მიესალმა სხდომის მონაწილეებს და გააცნო საბჭოს წევრებს მიმდინარე პროექტები. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია მიმდინარე პროექტების ხარისხიანად შესრულება, მივდივართ იმ მიმართულებით, რომ ყველა სოფელს უნდა ჰქონდეს სასმელი წყალი, მოწესრიგებული გზა. ამ მხრივ კეთდება, როგორც დიდი, ისე პატარ-პატარა პროექტები. სტიქიამ მოტყიარში, ზნაკვაში, ღვარდიაში, ძირაგულში, პირველ ტოლაში დააზიანა გზები. მობილიზებული იქნა ტექნიკა, ჩატარდა პირველადი სამუშაოები, ამჯერად კი თანხები გამოყოფილია პრობლემების აღმოსაფხვრელად. ორწლიანი პროექტია ამბროლაურის საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად. ამ წლის სამუშაოები მიმდინარეობს და გაგრძელდება 2019 წელსაც. წელს დამთავრდება ამბროლაურის სპორტული მოედნის კომპლექსის მშენებლობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთდება ნიკორწმინდა-ჭრებალოს გზის მონაკვეთი. მთავრდება ხიმშის გზა, დამთავრდება ჭრებალოს სპორტკომპლექსი. მიმდინარეობს სოფელ ჭყვიშში წყალმომარაგების პროექტი. ასევე მიმდინარეობს სხვადასხვა სახის პროექტები ამა თუ იმ სოფელში.

სოციალური პროგრამის ფარგლებში ყველა ქრონიკულად მოავადე ადამიანს შეუძლია მიიღოს მედიკამენტები. ასევე სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამები ორიენტირებულია მოქალაქეთა ინტერესებზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მიზნობრივად და გეგმის შესაბამისად იხარჯება. ბიუჯეტი არის გამჭვირვალე და ყველას შეუძლია იცოდეს თუ როგორ მიმდინარეობს მისი ხარჯვა. მუნიციპალიტეტის

ხელმძღვანელობა გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტის სახალხო განხილვას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა მაქსიმალურად ჩაერთვება ბიუჯეტის დაგეგმვაში. მიზანია გთხოვოთ, რომ წარმოადგინოთ ყველა ის პრობლემა, რაც თქვენს სოფლებში არსებობს, რომ გათვალისწინებული იქნეს ბიუჯეტის დაგეგმვისას.

აზრი გამოთქვას: დავით ბერაძე-წყალი გვაქვს ცახში, მაგრამ არ ყოფნის ე. წ. წნევა და საჭიროა ტუმბოს დამატება. ასევე სოფელ გოგოლათში უნდა დაემატოს წყლის ავზი.

ზვიად მხეიძე-ენერჯო პრო -ჯორჯიაში დავსვამთ საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია დენის წყაროს გაზრდა ტუმბოსთვის, რაც შეეხება გოგოლათს, წელს შვეიცარიული წყლის ავზებს და ეს საკითხი გადაწყდება.

ვასილ დვალი-ჯვარისა-ქედისუბანში სტიქიამ დააზიანა გზები და საჭიროა რეაბილიტაცია.

ზვიად მხეიძე-აღნიშნული პრობლემა უმოკლეს ვადაში გადაწყდება.

ლალი კობერიძე-სოფელ წესში განათების ქსელი იცვლება და თუ არის შესაძლებელი, რომ შეცვლილი განათება ზოგიერთ უბანში გადანაწილდეს.

ზვიად მხეიძე-ამ ეტაპზე ვაპირებთ, რომ შეცვლილი განათების ელექტრო ბოძები გამოვიყენოთ იმ სოფლებში, სადაც საერთოდ არ არის განათება.

მუნიციპალიტეტის მერმა ზვიად მხეიძემ ასევე აღნიშნა, რომ ჩემი თხოვნა საზოგადოებას მიაწოდოთ ინფორმაცია, რომ ჩაერთონ მიმდინარე პროექტების ხარისხის შემოწმება-დაკვირვებაში. არ უნდა დაიშვას არცერთი შეცდომა და ყველა სამუშაოს შემსრულებელს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, რომ სამუშაოების უხარისხოდ შესრულება არ დაუშვან. თუ კი რაიმეს შეამჩნევთ, ამ მხრივ, გთხოვთ, ჩართულობას

დაადგინეს: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭო აქტიურად ჩაერთოს მუნიციპალიტეტში არსებული ყველა პრობლემის მოგვარებაში.

სხდომის თავმჯდომარე

მდივანი

ლ. სოსო ცხვედიანი/

/თათია გოგოლაძე/